ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:ᲝᲗ1.31211691
თარიღი:18/06/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ოქმი N8
ქ. ლანჩხუთი

15. 06. 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დამხმარე მოსამსახურე გენდერულ საკითხებში ლოლიტა ურუშაძე, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე პირველი საკითხის მომხსენებლად წარდგება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბიძინა
იმნაიშვილი/

2. „ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებულ -„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ლოლიტა ურუშაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ბიძინა იმნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და დამატებით გამოეყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 2719106 ლარი, აქედან: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 483150 ლარი მ.შ. საკუთარი სახსრებით 24158 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 2100000 ლარი მ.შ საკუთარი სახსრებით 105000 ლარი:

1. ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეული: შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია-300105.34 ლარი;

2. ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული: შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია-264794.73ლარი;

3. ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია -149909.69 ლარი;

4. მამათის ადმინისტრაციული ერთეული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია- 228213.67 ლარი;

5. ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია-296840.08 ლარი;

6. ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია-300417.03 ლარი;

7. სუფსის ადმინისტრაციული ერთეული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია- 423056.83 ლარი;

8. აცანის ადმინისტრაციული ერთეული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია-245475.48ლარი;

9. აკეთის ადმინისტრაციული ერთეული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია-

252680.78ლარი;

10. შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია-308332.78 ლარი;

11. ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია-205863.19 ლარი;

სულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია- 2975689.6 ლარი;

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე.

საკრებულოს წევრი ციცინო ჩხაიძე დაინტერესდა, თუ რა არის მიზეზი იმისა, რომ რამოდენიმე ქუჩაზე ასფალტის საფარი სანახევროდ არის დაგებული და როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა.

საკრებულოს წევრი იოსებ ჩხაიძე დაინტერესდა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა მიზნობრივად გზების რეაბილიტაციისთვისაა განკუთვნილი, თუ შესაძლებელია სხვა პროექტების დაფინანსებაც.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე დაინტერესდა, თუ რატომ არის სხვაობა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათსა და ცხრილში ჩამოთვლილი ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებებს შორის. მან ასევე მოითხოვა, რომ მორიგ საკრებულოს სხდომაზე, რომელზეც უნდა დამტკიცდეს ზემოხსენებული ბიუჯეტში ცვლილების დოკუმენტი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა 2017 წლიდან დღემდე, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის რა თანხებია გამოყოფილი და დახარჯული.

საკრებულოს წევრმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული 16 ადმინისტრაციული ერთეულიდან საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფინანსდება 11 ადმინისტრაციული ერთეული. იგი დაინტერესდა რა კრიტერიუმებით იქნა შერჩეული დასაფინანსებელი ადმისტრაციული ერთეულები.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ განმარტა, რომ ამ ჩამონათვალში არ არის: გვიმბალაურის, ლესის, ღრმაღელის და მაჩხვარეთის ადმისტრაციული ერთეულები. კონკრეტულად, ლესის ადმისტრაციულ ერთეულში შარშან წინსწრებით დაიგო გზა, რომელიც წელს უნდა დაგებულიყო და დაიხარჯა 250 000 ლარი. შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს არ გადაეცემათ იმ რაოდენობის თანხა, რომ თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში ყოველწლიურად განხორციელდეს მსგავსი ტიპის პროექტები. მან იქვე დასძინა, რომ იგივე სიტუაციაა გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალწლიანი პროექტია და მიმდინარეობს გზის დაგება, მაჩხვარეთის ადმისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, დასრულების შემდეგ გამოცხადდება ტენდერი და დაიწყება სამუშაოები, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ადმისტრაციულ ერთეულს ეტაპობრივად ექნება დაფინანსება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ლევან ჩხაიძის თქმით, პირველ რიგში ასფალტის საფარი დაიგება ცენტრალურ ქუჩებზე, ხოლო შემდეგ დასრულდება პერიფერიებში დაუსრულებელი სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ბიძინა იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა განკუთვნილია გზების რეაბილიტაციისთვის.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებულ -„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლოლიტა ურუშაძემ. მან განმარტა, რომ

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიერ, ინსბრუკში, 2006 წლის მაისში, წარმოდგენილი იქნა „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“, რომელიც მომზადებულ იქნა ევროკომისიის მხარდაჭერით, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის V სათემო სამოქმედო პროგრამის ფარგლებში. ქარტია გამიზნულია ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისათვის, რომლებიც მოწვეულნი არიან, ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რათა ფორმალურად და საჯაროდ დაადასტურონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულება და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში დანერგონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამ ვალდებულებების განსახორციელებლად, თითოეული ხელმომწერი მხარე ვალდებულია, შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნის მიღწევისათის საჭირო პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები. როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული მმართველობის შტო, ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას უთანასწორობის დასაძლევად და ჭეშმარიტად ეგალიტარული საზოგადოების ხელშესაწყობად. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მთელ რიგ ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობით ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია კონკრეტული ღონისძიებების გატარება ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის სასარგებლოდ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად: მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს და შეუერთდეს „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორისთანასწორობის ევროპულ ქარტიას“

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N30(15.06.2021)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/
ელექტრონული
შტამპი